ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2013 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ზაარლანდის უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრისა და მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებს (ერთთვიანი ენის კურსები და სამთვიანი სტიპენდია), ასევე თსუ დოქტორანტებს (მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდია).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ელექტრონულად შევსებული ფორმულარი (2 ეგზემპლარი)
- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე (ეხებათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს)
- ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (ეხებათ მხოლოდ მაგისტრატურის პირველის სემესტრის სტუდენტებს)
- მაგისტრის დიპლომის ასლი (ეხებათ მხოლოდ დოქტორანტებს)
- მიმღები უნივერსიტეტის პროფესორის წერილობითი თანხმობა (ეხებათ მხოლოდ დოქტორანტებს)
- ინფორმაცია მიმღებ უნივერსიტეტში შესაბამისი სასწავლო მიმართულების არსებობის შესახებ **(www. uni-saarland.de)**
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- პასპორტის ასლი

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება
კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2012 წლის 20 ნოემბერს, 10 საათზე
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)
აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 16 ნოემბრის 12 საათი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა: **გერმანულენოვან დოქტორანტებს არ მოეთხოვებათ ენის ტესტის დაწერა, გამონაკლისის სახით გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისურენოვანი დოქტორანტები.**

დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!

კონკურსზე არ დაიშვებიან 2011/2012 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212